თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი

ორგანო - საკრებულოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02/203

ქ. ბათუმი, 22 აპრილი 2014 წ

ქ. ბათუმში, ზ. გამსახურდიას, ჟორდანიას და კოსტავას ქუჩებზე, სასტუმრო „Divan Suites Batumi"-ს მიმდებარედ პარკირების ორგანიზების უფლების შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM"-ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე

2014 წლის 10 მარტის №4131/25 და 2014 წლის 26 მარტის №5871/25 წერილებით ქ. ბათუმის მერიას მომართა შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM"-ის დირექტორმა, რომელშიც აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, კოსტავა/ზ.გამსახურდიას ქ.№5/13-ში და ქ. ბათუმში, ჟორდანია/ზ.გამსახურდიას ქ. №8/15-ში მდებარე სასტუმრო „Divan Suites Batumi"-ს საქმიანობისათვის სურთ სასტუმროს სტუმრებისა და მომსახურე ავტოტრანსპორტის ავტოპარკირების მიზნით ხსენებულ ტერიტორიაზე - 145,5 კვმ ფართზე ფასიანი ავტოსადგომის მოწყობა. შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM"-ის დირექტორის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესებს (მართობული დგომა, 45 გრადუსიანი დგომა, 90 გრადუსიანი დგომა და ა.შ.).

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის დადგენის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის №6 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვრა, რომ თვითმმართველ ქ.ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური, პარკირების საერთო ადგილებისათვის განსაზღვრული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის, დროის შემდეგი მონაკვეთის მიხედვით შეადგენს - 365 დღე - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ბათუმში, კოსტავა/ზ.გამსახურდიას ქ.№5/13-ში და ქ. ბათუმში, ჟორდანია/ზ.გამსახურდიას ქ.№8/15-ში მდებარე სასტუმრო „Divan Suites Batumi"-ს მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაეცეს შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN

TURIZM“ -ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 445430971).

2. პარკირების ორგანიზების უფლება გაიცეს ერთი წლის ვადით, ხოლო ვადის ათვლა დაიწყოს მხარეთა მიერ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

3. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ძირითად პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე ვალდებულია თანდართული ესკიზის შესაბამისად პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე:

ა.ა) მოაწყოს 13 პარკირების ადგილი;

ა.ბ) ერთეული პარკირების ადგილისათვის გამოყენებული იქნას არაუმეტეს 11,2 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

ა.გ) სულ 13 პარკირების ადგილისათვის გამოყენებული იქნას 145,5 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;

ა.დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესები განისაზღვროს თანახმად თანდართული ესკიზისა;

ბ) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე ვალდებულია მხარეთა მიერ შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 06 დღის განმავლობაში განახორციელოს და დაასრულოს პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტერიტორიის კეთილმოწყობა, თანახმად თანდართული ესკიზისა;

გ) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე ვალდებულია პარკირების ადგილები აღჭურვოს საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით;

დ) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს უფლება აქვს პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, დააწესონ საფასური, ან/და პარკირების ადგილები გამოიყენონ მხოლოდ სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობისათვის;

4. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის დამატებით პირობებად განისაზღვროს შემდეგი:

ა) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე ვალდებულია უზრუნველყოს პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენება;

ბ) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე ვალდებულია უზრუნველყოს პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა;

გ) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე ვალდებულია დააწესოს კონტროლი პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე;

დ) პარკირების ორგანიზების უფლების მქონე ვალდებულია სრულად და ჯეროვნად დაიცვას „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილების მოთხოვნები.

5. აკრძალულია პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, გამოყენებული იქნას პარკირების სპეციალურ ადგილებად.

6. პარკირების ორგანიზების უფლების წლიური საფასური პარკირების ერთეული ადგილისათვის განისაზღვროს 560,00 (ხუთას სამოცი) ლარი, პარკი-

რების ყველა ადგილისათვის კი განისაზღვროს 7 275,00 (შვიდი ათას ორას სამოცდათხუთმეტი) ლარი.

7. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 იანვრის №6 დადგენილებაში ისეთი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს პარკირების საერთო ადგილების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის ზრდას ან შემცირებას, მხარეები ვალდებული იქნებიან სათანადო ცვლილებები შეიტანონ მხარეთა შორის გაფორმებულ პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ხელშეკრულებაში.

8. პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირის მიერ პარკირების საფასური გადახდილი უნდა იქნას თანაბარწილად, საანგარიშო პერიოდის 01 ივნისამდე და 01 დეკემბრამდე.

9. ეცნობოს პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს, რომ წინამდებარე ბრძანების საფუძველზე პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა არ ზღუდავს ან/და არ კრძალავს, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, გამოყენებული იქნას კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის, რაც შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების ახალ გარემოებებთან მისადაგების საფუძველია, რაც შეიძლება გამოიხატოს ხელშეკრულების მოქმედების დროებითი შეჩერებით, ან ახალი ხელშეკრულების გაფორმებით - სახელშეკრულებო ვადისა და საფასურის ოდენობის ცვლილებების გარეშე.

10. ეცნობოს პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს, რომ წინამდებარე ბრძანებით დადგენილი პირობები წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი გათვალისწინებული არ იქნება ხელშეკრულებით.

11. დაევალოს ქ. ბათუმის მერიას (გ. ერმაკოვი) წინამდებარე ბრძანების საფუძველზე გააფორმოს პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება.

12. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტ-გვერდზე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ.ბათუმის მერია.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ჩავლეიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე